სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 დეკემბერი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/128

„ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, „ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის N06-01/65 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილების N1 დანართში შეიცვალოს შემოდგომის სემესტრის დასრულების და გაზაფხულის სემესტრის ვადები და საბოლოოდ N1 დანართი ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით **(N1 დანართი).**
2. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს 2024-2025 სასწავლო წლის განახლებული აკადემიური კალენდრის (თანდართული უქმე დღეების ჩამონათვალით) ცხრილის შედგენა და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.
3. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარიასთან) და ფაკულტეტების დეკანების ოფისებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ-ს პორტალზე, ბსუ–ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, ასევე სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს ყველა მართვის ორგანოს და სტრუქტურულ ერთეულს.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის N06-01/128 დადგენილების N1 დანართი

ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

(გარდა ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი პროგრამისა)

1. 2024-2025 სასწავლო წელს ბსუ-ს სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიან (გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა), სამაგისტრო, სადოქტორო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1. **შემოდგომის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2024 წლის 30 სექტემბერს** (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე - 2024 წლის 21 ოქტომბერს) და დასრულდეს **2025 წლის 25 იანვარს**;

ბ) სტუდენტთა **აკადემიური რეგისტრაცია** ან/და ცვლილებების შეტანა (სასწავლო კურსების რეგისტრაცია/არჩევა) **დასრულდეს 2024 წლის 12 ოქტომბერს** (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე -2024 წლის 26 ოქტომბერს);

გ) **საშობაო არდადეგები** გამოცხადდეს 2024 წლის **30 დეკემბრიდან 2025 წლის 13 იანვრამდე;**

დ) **ძირითადი გამოცდები** ჩატარდეს 2025 წლის 26 იანვრიდან 15 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები - 2025 წლის 17 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით.

1.2. **გაზაფხულის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2025 წლის 10 მარტს** და დასრულდეს **2025 წლის 21 ივნისს;**

ბ) სტუდენტთა **აკადემიური რეგისტრაცია** ან/და ცვლილებების შეტანა **დასრულდეს** 2025 წლის 01 მარტს (გარე მობილობით ჩარიცხული სტუდენტების, ასევე პირადი განცხადების საფუძველზე **სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტების** (რომლებიც 2024-25 სასწ. წლის გაზაფხულის სემესტრიდან დაბრუნდებიან სასწავლო პროცესში) **აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს** 2025 წლის 10 მარტიდან 15 დღის ვადაში;

გ) **ძირითადი გამოცდები** ჩატარდეს 2025 წლის **23 ივნისიდან 12 ივლისის** ჩათვლით, ხოლო **დამატებითი გამოცდები** - 2025 წლის **14 ივლისიდან 19 ივლისის** ჩათვლით;

დ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება – 2025 წლის 21 ივლისიდან 02 აგვისტოს ჩათვლით.

2. სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით.

3. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრულ 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოიცეს ბსუ-ს რექტორის მიერ.